სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №26
2015 წლის 10 დეკემბერი

ქ. თბილისი

„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ (www.matsne.gov.ge, 18.08.2015, 040170020.57.069.016067) მე-12 მუხლის:
1. მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია, გარდა ამ მუხლის მე-3, 3^1 და მე-5 პუნქტებით დადგენილი გამონაკლისებისა.“.

2. მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს 3^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3^1. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარი ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებელი აგრეთვე თავისუფლდება ამ წესის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.“.

4. მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს წინასწარ გადასახდელი თანხის ნახევარი ოდენობის გარანტიას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.“.
მუხლი 2
ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 11 დეკემბრიდან.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი **ზაზა ნანობაშვილი**